

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 92

8 სექტემბერი 2020 წ.

ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.

კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი,ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ვაჟა ოთარაშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტო- თამარ მელიქიშვილი; მარიამ კვერნაძე

საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე-ლევან ჟორჟოლიანი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები:(11-0120244653;11-0120239288;11-01202512663) ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ (#15-032024445-03; 15-032023951-03;17-032025112-03)
2. “ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.403) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 12-02023245-03
3. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრორაიონის კორპუს N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ 12-032023245-03
4. “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ 12-032023245-03
5. “ქალაქ თბილისში, ფერშერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “12-03202441-03
6. “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ 12-03202441-03
7. “ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 12-03202441-03

8. "ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.001.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 12-03202441-03
9. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე ". 12-03202451-03
10. "ქალაქ თბილისში, გახოვიძის ქუჩა N8-ში, ნაკვეთი (05/040) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.022 და N01.19.19.005.040.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 16-032024889-03
11. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " 16-032024889-03
12. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.18.03.009.027) შპს „ვინ რუმისთვის“ (ს/ნ: 404550703) იჯარის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ 12-03202324-03
13. ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის“ (ს/ნ: 202899612) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. 12-032024538-03
14. ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.049) პირდაპირი განკარგვის წესით დანიილ ნადაშვილისთვის (პ/ნ: 01224095053) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე 12-02024548-03
15. ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.031.117) მაკა თოფურისთვის (პ/ნ: 01017007617) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე 12-032024549-03
16. „ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.039) პირდაპირი განკარგვის წესით ჯემიკო ფოფხაძისთვის (პ/ნ:62001030583) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ . 12-0320237114-03
17. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.02.059.292) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ 12-032024621-03
18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე 12-032023388-03
19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 12-032024856-03
20. თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსეარსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე"

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები:(11-0120244653;11-0120239288;11-01202512663) ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (#15-032024445-03; 15-032023951-03; 17-032025112-03)

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ გამგეობებისა და საქალაქო სამსახურების წერილობითი მოთხოვნით ხორციელდება კვარტალური ცვლილებები ზოგოერთ ქვეპროგრამაში.

კერძოდ: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მოთხოვნით პროგრამაში „დაავადებათა სკრინინგი“ მესამე კვარტალში ემატება 220 000 ლარი. თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან. ცვლილება გამოწვეულია დაგეგმილთან შედარებით პროგრამით მოსარგებლე მეტი ბენეფიციარის დაფიქსირებით.

დიდუბის რაიონის გამგეობის მოთხოვნით, რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების“ პროგრამაში 200 000 ლარის გადატანა ხდება მესამედან მეოთხე კვარტალში, რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებით : გიორგი ცაბაძის ქუჩის კაპიტალური შეკეთების ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებისას დარჩა ეკონომია. ასევე მიხეილ ჭიაურელის და იუნკერ მიხეილ იოსელიანის ქუჩებზე სამუდსაოების მიმდინარეობისას გამოიკვეტა, რომ საჭირო გახდა სანიაღვრე ქსელზე ახალი დამატებითი ჭებისა და ცხაურების მოწყობა. შესაბამისად სამუშაოები დასრულდება მეოთხე კვარტალში.

„კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამაში, პროგრამით გათვალისწინებული ვადებულელების შეუსრულებლობის გამო შეწყდა ხელშეკრულება შპს რეა ენერჯისთან“. კომპანიას უნდა შეესრულებინა ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია. შესაბამისად ცხადდება ახალი ტენდერი. გარდა ამისა აკაკი წერეთლის გამზირი#1-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობაზე ტენდერი შედგა. მაგრამ ხელშეკრულება არ გაფორმებულა რიგი ღონისძიებების გამო. ყოველივე აღნიშნულის გამო გამგეობა ითხოვს 1 065 474 ლარის გადატანას მესამედან მეოთხე კვარტალში.

საბურთალოს რაიონის გამგეობის მოთხოვნით, „უფასო სასადილოებით მომსახურების“ პროგრამაში ფაქტიურად მოსარგებლე ბენეფიციართა სხვაობის გამო დარჩა ეკონომია 17950 ლარი მესამე კვარტალში. აღნიშნული თანხის გადატანა ხდება მეოთხე კვარტალში.

მესამედან მეოთხე კვარტალში გადააქვთ 44 000 ლარი „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხების“ პროგრამაში, ვინაიდან სრულად ვერ მოხერხდა ნუცუბიძის ქ.#10-ში მდებარე ავარიული კორპუსის მაცხოვრებელთა გამოსახლება და მათი ქირით გაყვანა.

რაიონის „სხვა სოციალური დახმარებების“ პროგრამის ფარგლებში მესამე კვარტალში დარჩა რესურსი 50 000 ლარი, მაგრამ შემოსულია საავადმყოფოებიდან და აფთიაქებიდან 120 000 ლარის შესრულება. ამიტომ გამგეობა ითხოვს 69910 ლარის გადმოტანას მეოთხე კვარტლიდან.

გარდა ამისა გამოა აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში არ გაუციათ ჯილდო და წლის დასაწყისიდან ეკონომია აქვთ „შრომის ანაზღაურების“ მუხლში 35100 ლარის, რის გადატანასაც ითხოვენ მეოთხე კვარტალში.

წარმოდგენილია ასევე ვაკის რაიონისათვის მიკუთვნებულ პროგრამებში კვარტალური და წლიური ცვლილება.

„კეთილმოწყობის ღონისძიებების“ პროგრამის ფარგლებში, გამგეობა ახორციელებს სპორტული მოედნების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რაც გათვალისწინებული იყო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში. ზოგიერთი სტადიონის შეკეთების სამუშაოების შინაარსიდან გამომდინარე ითხოვენ აღნიშნული მუხლის შემცირებას 120 200 ლარით. გარდა ამისა ვერ ხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე არსებული ყველა ეკლესიის დაფინანსება, რაც გათვალისწინებული იყო, აქედა გამომდინარე რესურსი რჩება 96 800 ლარი. გამგეობა ითხოვს საერთო ჯამში 217000 ლარის გადატანას „საქონელი და მომსახურების მუხლში“. მუხლობრივ ცვლილებას ითხოვს გამგეობა ასევე „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში. კორონა ვირუს გავრცელების გამო გადაიდო „კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები“ , რის გამოც ცვლილება ხდება აღნიშნულ პროგრამაში 40000 ლარის გადატანა ხდება მესამედან მეოთხე კვარტალში.

კრწანისის რაიონის გამგეობის მოთხოვნით „გზების მოვლა შეკეთების“ პროგრამაში ფაქიურად ვადაზე ადრე დასრულებული სამუშაოების გამო მესამე კვარტალში ხდება 185 000 ლარის გადმოტანა მეოთხე კვარტალიდან. დაბალანსება ხდება რაიონის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში ,ესა.ე კვარტალში არსებული რესურსით.

გარდა ამისა წარმოდგენილია გლდანის რაიონის მოთხოვნა „გზების მოვლა-შეკეთების“პროგრამაში მესამე კვარტლის 40 000 ლარით გაზრდაზე და საბურთალოს რაიონის მოთხოვნა „სხვა სოციალური დახმარებების“ პროგრამის მესამე კვარტლის გეგმის გაზრდა 27 800 ლარით , რასაც აბალანსებს „კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების“ და გამგეობის ხარჯების მესამე კვარტლის გეგმის საერთო ჯამში 27800 შემცირებით.

მომხრე- 9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც საბურთალოს, გლდანის, დიდუბის, ნაძალადევის, ჩუღურეთის რაიონული გამგეობები, ასევე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახური ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.403) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

“ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში მდებარე, ბინა N403-ის ფართობ 17.06 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029.01.403) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ვასილ ლაბარტყავას (პ/ნ: 02001002824). მოქალაქე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს ამ ფართში. წარმოდგენილია ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით შესაბამისი გამგეობის და შსს წერილები.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის IV მიკრორაიონის კორპუს N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

„ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის IV მიკრორაიონის კორპუს N33-ში მდებარე, უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს N20.884.1113 განკარგულების დანართი N1-ით

მოცემულ პირებს (4 ოჯახი -საერთო ფართი 470,99კვმ), აღნიშნული პირები დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობენ ამ ფართებით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:“ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში მე-2 სართულზე მდებარე ბინა N9-ის ფართით 58.84 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, გადაეცემა მოქალაქე ნატალია დოდაშვილის (პ/ნ: 33001041031) საკუთრებაში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში პირველ სართულზე, ბინა N8-ში მდებარე 85.12 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.008), პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, გადაეცემა მოქალაქე თამუნა გუნავას (პ/ნ: 19001009991) საკუთრებაში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: “ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში ბინა N2-ში მდებარე 70.03 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, გადაეცემა მოქალაქე ლიანა სარქისიანს (პ/ნ: 01017043094) საკუთრებაში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს:“ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107-ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.522) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ-ში პირველ სართულზე მდებარე 12.54 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.522) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, გადაეცემა მოქალაქე ნანული ხეჩუაშვილის (პ/ნ: 01011059420) საკუთრებაში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.001.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისში, მარტყოფის ქუჩა N23-ში -ში, პირველ სართულზე, შენობა N2-N3-ში მდებარე 68.68 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.01.026.001.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, გადაეცემა მოქალაქე ანა ხახანაშვილის (პ/ნ: 01017055791) საკუთრებაში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46ა-ში მდებარე, უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.011) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 აგვისტოს N20.955.1199 განკარგულების დანართი N1-ით მოცემულ პირებს (8 ოჯახი საერთო ფართი 489,51 კვმ)

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გახოვიძის ქუჩა N8-ში, ნაკვეთი (05/040) (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.022 და N01.19.19.005.040.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისში, გახოვიძის ქუჩა N8-ში, ნაკვეთი (05/040), მე-4 სართულზე მდებარე 63.42 კვ.მ და მე-4 სართულზე, ბინა N22-ში მდებარე 8.64 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.022 და N01.19.19.005.040.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, გადაეცემა საკუთრებაში მოქალაქე თენგიზ მამულაშვილს (პ/ნ: 38001010771).

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N2-ში, ბინა N3-ში, მდებარე 41.00 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N81.02.13.746.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, გადაეცემა მოქალაქე ლამარა სარქისიანს (პ/ნ: 01017044523) საკუთრებაში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.18.03.009.027) შპს „ვან რუმისთვის“ (ს/ნ: 404550703) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

შპს „ვან რუმის“ (ს/ნ: 404550703) გადაეცემა იჯარით სარგებლობაში, ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N10-ის მიმდებარედ არსებული 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.18.03.009.027) ღია კაფეს მოსაწყობად, 10 წლის ვადით. აღნიშნული კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარე შენობის პირველ სართულზე 21.99 კვ.მ. ფართს (ს/კ: N01.18.03.009.004.01.01.575).

განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა 5 წლის ვადით (ნაცვლად მოთხოვნილი 10 წლის ვადისა), წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის შპს „მარჯანისთვის“ (ს/ნ: 202899612) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

შპს „მარჯანს“ (ს/ნ: 202899612) იჯარით გადაეცემა, ქ. თბილისში, მარჯანიშვილის მოედანზე, დ. აღმაშენებლის გამზ. N86-90-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 634 კვ.მ. ტერიტორიიდან (ს/კ: 01.16.05.002.035) 76 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარე შენობის 1 სართულზე არსებულ 254 კვ.მ ფართს (ს/კ: 01.16.05.002.007.01.501).

განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 11000 ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.049) პირდაპირი განკარგვის წესით დანიილ ნადაშვილისთვის (პ/ნ: 01224095053) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

დანიილ ნადაშვილს (პ/ნ: 01224095053) იჯარით გადაეცემა. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.049) ღია კაფეს

განთავსებისათვის(განთავსდება მხოლოდ მსუბუქი მაგიდები და სკამები). განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N26-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.15.05.010.006.01.534) უძრავი ქონება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 29.07.2020წ. N004368020 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით შეფასდა ტერიტორიაზე არსებული 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 29 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 340 (ორი ათას სამას ორმოცი) ლარით. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა 5 წლით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 103 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.10.14.031.117) მაკა თოფურიასთვის (პ/ნ: 01017007617) იჯარით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

მაკა თოფურიას (პ/ნ: 01017007617) იჯარით გადაეცემა, ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. N5-ის მიმდებარედ არსებული 103 კვმ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.10.14.031.117) მსუბუქი მეტალის კონსტრუქციისა და დასაკეცი ვიტრაჟული სისტემის მქონე კაფე-ბარის მოსაწყობად. აღნიშნული პირი საკუთრების უფლებით ფლობს მიმდებარე შენობაში: სულხან ცინცაძის ქ. N5-ის პირველ სართულზე არსებულ ფართს (ს/კ: N01.10.14.031.003.01.506).

განკარგულების პროექტით განიხილება მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - - 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.039) პირდაპირი განკარგვის წესით ჯემიკო ფოფხაძისთვის (პ/ნ:62001030583) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

ჯემიკო ფოფხაძეს (პ/ნ:62001030583) პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა, „ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.039) ღია კაფის მოწყობის მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიულ პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა N6-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 01.13.07.002.016). საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 13 ივლისის N003940920 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2020 წლის 13 ივლისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 4 200 (ოთხი ათას ორასი) ლარით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.02.059.292) სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ

მომხსენებელი -თამარ მელიქიშვილი

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლურ ეკლესიას (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით გადაეცემა, ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში არსებული 1089 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.17.02.059.292) შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე

მომხსენებლის განმარტებით, 2020 წლის აპრილსა და ივნისის თვეში, მოქალაქეებმა ლაშა გვაზავამ (პ/ნ:19001011836), ვალერიან ქათამაძემ (პ/ნ: 60003001384), მანანა გაგუამ (პ/ნ: 53001007113), ნიკოლოზ გაგუამ (პ/ნ:53001000941) და ნიკოლოზ თოიძემ (პ/ნ:33001027009) მომართეს მერიას, თავიანთ საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, შატბერაშვილის ქუჩისა და კეკელიძის მიმდებარედ არსებული 1042.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.12.003.058) გაცვლის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით და სანაცვლოდ მოითხოვეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) საკუთრებაში გადაცემა.

განმცხადებლების განმარტებით, თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) ღირებულება აღემატება გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, მოქალაქეები აცხადებენ, რომ გადაიხდიან სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს, ხოლო, თუ დაინტერესებული პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება აღემატება სანაცვლოდ გადმოსაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, ამ სხვაობასთან დაკავშირებით არ ექნებათ არანაირი პრეტენზია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

ვინაიდან 01.14.12.003.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა, გეოდინამიკური საფრთხეების არეალი და გამწვანებული ტერიტორიების ფენა, ასევე ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილების თანახმად, განმცხადებლების საკუთრებაში არსებულ 01.14.12.003.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ვრცელდება N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით გათვალისწინებული სატყეო ზონა, ასევე მითითებულ მიწის ნაკვეთზე შეუსაბამო ქალაქმშენებლობით დოკუმენტად მიჩნეულია ჟვანიას ქუჩის ბოლოში, ლანდშაფტური ტერიტორიების სამშენებლო განვითარებისათვის დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, დაინტერესებულ პირებს ეზღუდებათ თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს მოქალაქეების თხოვნის დაკმაყოფილებას, მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებით და მათთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ

თბილისში, ფხოვის ქუჩა N3, სართული N2, 211.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.006.01.597) საკუთრებაში გადაცემას.

უძრავი ქონებები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა ფასთა შორის სხვაობა 107 000 ლარი.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა - პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრების შეკითხვებზე დამატებითი ინფორმაცია მიაწოდა მათ მარიამ კვერნაძემ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ კენჭისყრაზე დადგა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე-8. წინააღმდეგი- ვახტანგ შაქარიშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს“ (ს/ნ: 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-482-1-23724 ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, დასახლება მუხიანი, IV მიკრო/რაიონსა და მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული 117,955 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები, კერძოდ, N01.11.17.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 24,485 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული N1, N2, N3, N4, N5, N6 და N7 შენობა-ნაგებობები და N01.11.17.006.844 საკადასტრო ერთეულზე მდებარე 93,470 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული N1 დან N10-ის ჩათვლით შენობა-ნაგებობები .

აუქციონის შესაბამისად, შეძენილი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 23,323,170.00 ლარი, რომელიც კომპანიამ დაფარა 2019 წლის 7 ოქტომბერს და აღნიშნული დასტურდება სააგენტოს მიერ 2019 წელს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობებით.

ამასთან, ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს დაეკისრა პრივატიზებულ ქონებაზე 8,000,000.00 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით ინვესტიციის განხორციელება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის ვადაში გრაფიკის შესაბამისად:

2020 წლის აგვისტოში კომპანიამ განცხადებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე უძრავი ქონება დაკავებული აქვთ უკანონოდ მოსარგებლე პირებს, რომელთა ეტაპობრივ გაყვანას ტერიტორიიდან უზრუნველყოფს თბილისის მერია. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის მარტის თვემდე უძრავ ქონებაზე ვერ მოხერხდა რაიმე სახის არსებითი საინვესტიციო სამუშაოების ჩატარება. ამასთან, წერილში აღნიშნულია, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ფორს-მაჟორულმა გარემოებებმა უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიამ მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გადავადება წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად:

ასევე, ლარის მიმართ აშშ დოლარის არაპროგნოზირებადი და მერყევი კურსის გათვალისწინებით, ითხოვენ უცხოურ ვალუტაში არსებული საინვესტიციო ვალდებულების ლარში კონვერტაციას, ხელშეკრულების გაფორმების თარიღის მდგომარეობით.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: თბილისში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსეარსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ (ს/ნ 405159340) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე“
მომხსენებელი-ლევან ყორჟოლიანი

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას 2019 წლის აგვისტოში მიმართა შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსმა“ (ს/ნ 405159340) და მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.

კომისიამ განიხილა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052): გაცემულია მშენებლობის ნებართვა კორპუსი N1-ზე 2007 წელს და კორპუსი N4-ზე 2006 წელს.

არსებული ქალაქმშენებლობითი პირობების ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე: მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი - კ1=0.4; მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (2013 წლის 9 ოქტომბრის N2161 ბრძანებით) - კ2=2.8; მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი-კ3=0.1;

დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დაზარალებული მოზინადრეების ბაზისა და ხელშეკრულებების ანალიზის საფუძველზე დგინდება: წარმოდგენილი ხელშეკრულებების ასლების მიხედვით, დაზარალებულებისთვის გადასაცემი ფართის საერთო ოდენობა შეადგენს 21168.83 კვ.მ.-ს, მათ შორის:

მყიდველის მხრიდან ხელმოწერილი არ არის 5 ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გადასაცემი ფართის საერთო ოდენობა შეადგენს 403.65 კვ.მ.-ს; 1 ხელშეკრულებაზე არ ფიქსირდება ცენტრ პოინტ ჯგუფის წარმომადგენლის ხელმოწერა, რომლის მიხედვითაც გადასაცემი ფართი შეადგენს 55.33 კვ.მ.-ს;

9 ხელშეკრულებას ხელს აწერს მყიდველის წარმომადგენელი, ხელშეკრულებაში აღნიშნულია მინდობილობის მონაცემები, თუმცა თავად მინდობილობა არ ახლავს თან. აღნიშნული 9 ხელშეკრულების მიხედვით გადასაცემი ფართის საერთო ოდენობა შეადგენს 792.28 კვ.მ.-ს; გადასაცემი ავტოსადგომების საერთო ფართი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით შეადგენს 178.44 კვ.მ.-ს;

14 ხელშეკრულებაში, რომელიც ეხება ავტოსადგომების გადაცემას, აღნიშნული არ არის ფართი. კომისიის აპარატმა იხელმძღვანელა აღნიშნული მშენებლობის პროექტით გათვალისწინებული ავტოსადგომის მინიმალური ფართობით - 18 კვ.მ. და მხედველობაში მიიღო 14 ავტოსადგომის საერთო ფართი - 252 კვ.მ;

შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსსა“ და შპს „კავკასიის პოინტ ჯგუფს“ შორის 2019 წლის 3 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსის“ მიერ განხორციელებული სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს N01.18.06.018.053 საკადასტრო კოდზე აშენებულ/შექმნილ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში განთავსებულ, ჯამში 700 კვ.მ.-ს;

ვალდებულებების ნაწილში, განმცხადებლის მითითებით: დასაკმაყოფილებელია დაახლოებით 250 ოჯახი; ჯარიმების თანხა შეადგენს 30 000 ლარს;

აპარატის მიერ მოძიებული ინფორმაციით, საჯარო რეესტრის ამონაწერში: ვალდებულებების ნაწილში ფიქსირდება აუცილებელი მისასვლელი გზის ვალდებულება. რეგისტრირებულია ; კომისიის აპარატის მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა ფართის მოთხოვნის უფლების მქონე პირებზე ვალდებულების სახით გადასაცემი ფართების ჯამური ოდენობა - 20709.85 კვ.მ;

შპს „ვენა დეველოპმენტ ალიანსი“ (ს/ნ 405159340) ითხოვს დაუმთავრებელი მშენებლობისათვის შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებას

პროექტით შესათანხმებლად წარმოდგენილია საკითხი, მისამართზე - ქ. თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის (ს/კ N01.18.06.018.052) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის, დაინტერესებული პირისათვის შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს - (კ-2)- 7,4-ით, თუმცა შენობა-ნაგებობის (სამივე ბლოკი) საერთო ფართობით - არაუმეტეს 57804.7 კვადრატული მეტრისა;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე გარკვეული პირობები დადგინდეს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად, კერძოდ, კოეფიციენტის დათვლის ნაწილში გათვალისწინებულ იქნეს „წესების“ მე-18 მუხლი და კ-2-ის გაანგარიშებისას არ იქნას შეყვანილი აივნები, ტერასები, კიბის უჯრედები, ლიფტები და სხვა;

გ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდეგ, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული აუდიტორის დასკვნა სამშენებლო ხარჯთან და ფართების სარეალიზაციო ფასებთან მიმართებაში .

დ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა წარადგინოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ცენტრალურ გზებთან წვდომით;

ე) ხელშეწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 21 ივლისის N5 სხდომის ოქმით გათვალისწინებულ დაზარალებულთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ. ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში, ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით;

დეტალურად განხილვის შემდეგ კენჭისყრაზე დადგა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე



ოთარ გრიგოლია